



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 38

30/03/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის აპრილის თვის მორიგი
სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი ნაწილისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. მოწვეულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრილის თვის მორიგი სხდომა 2018 წლის 2 აპრილს 11:00 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 აპრილის სხდომის
დღის წესრიგი:

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ;

მომხს: ი.რობაქიძე

2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

მომხს: ი.რობაქიძე

3. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;

მომხს: ი.რობაქიძე

4. სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;

მომხს: ი.რობაქიძე

5. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;

მომხს: ი.რობაქიძე

მუხლი 2. დაევალოს საკრებულოს აპარატს საკრებულოს წევრთა ინფორმირება საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის თაობაზე.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო